ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №511638

ნომერი: AR1102439

თარიღი : 10.01.2013

გაცემის თარიღი : 30.01.2013

გაცნობის თარიღი : 30.01.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ბარნაბიშვილი პ/ნ 01009010768
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. V კვ. კორ. 2 ბ. 35

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისი რაიონში, რუსთაველის გამზ. N5–ში (უძრავი ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) ესკიზური პროექტის წინასწარ შეთანხმებას.

განცხადება და თანდართული დოკუმენტები განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გაერთიანებულმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N2, 15.01.13წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც მიეცა დადებითი შეფასება ქ. თბილისში, ძველი თბილისი რაიონში, რუსთაველის გამზ. N5–ში (უძრავი ძეგლი) არსებული შენობის რეკონსტრუქციის (დაშენება) ესკიზურ პროექტს.

უძრავ ძეგლზე სარებილიტაციო სამუშაოების ჩატარების ნებართვის მოსაპოვებლად, საჭიროა განაცხადი დაარეგისტრიროთ შესაბამის ნომენკლატურაში:

ელექტრონული განაცხადები > მშენებლობის ნებართვა > კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლები > სარეაბილიტაციო სამუშაოები > ქმედებები: ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები > მშენებლობის ნებართვა

• სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ.

• სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.